ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 2 თებერვალი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ბ. მამაცაშვილი)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება ხორციელდება ქ. ხობში ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციისთვის, რომლის განსახორციელებლად დიდი წვლილი მიუძღვის ხობის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს ირაკლი (დაჩი) ბერაიას, რისთვისაც საკრებულოს სახელით მადლობა გადაუხადა მას. მცირეოდენი შესავლის შემდგომ სთხოვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ხორციელდება 168.5 ათასი ლარის ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში, რომელიც მიიმართება შემდეგი ღონისძიებების დასაფინასებლად: 118,5 ათასი ლარი - პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნებებზე; 50,0 ათასი ლარი - პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებებზე. ასევე გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 2323,0 (ორი მილიონ სამასოცდასამი ათასი) ათასი ლარით და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა მიიმართა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ ასიგნებაზე, კერძოდ: 2019,0 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნებაზე, 304,0 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ასიგნებაზე. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი

დაწესებულებებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, შემოსულობების გეგმა შეადგენს 10669,9 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნიათ და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N5 ოქმს თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნა გამოთქვა მერიის სამსახურების მიმართ და განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომამდე, საკითხები მინიმუმ 2-3 დღით ადრე იქნეს წარმოდგენილი, რათა საკრებულოს წევრები დეტალურად გაეცნონ პროექტებს. გამომსვლელმა ასევე აღნიშნა, რომ ერთ-ერთ კომისიაში საკითხის განხილვის დროს მერიიდან იყო მოწვეული ერთ-ერთი სამსახურის უფროსი, რომელმაც არაკორექტული და უსამართლო ბრალდება წაუყენა საკრებულოს აპარატს და მთლიანად საკრებულოს. ასეთ საფუძველს მოკლებულ შენიშვნებს საკრებულო ვერ მიიღებს ვერავისგან, ყველამ პატივი უნდა სცეს ერთმანეთს და ურთიერთთანამშრომლობით მიღწეულ იქნეს დასახული გეგმები მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ თუ არადა გამოთქმული შენიშვნები აუცილებლად დასაბუთებული უნდა იყოს.

აზრი გამოთქვეს: თ. გულუა - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე - განაცხადა, რომ საკითხები დროულად უნდა იქნეს წარმოდგენილი საკრებულოში, რათა მოასწრონ საკითხის შესწავლა. შეიძლება ზოგჯერ გადაუდებელი საკითხი გამოჩნდეს, მაგრამ ამას სისტემატური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს.

მ. ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - განაცხადა, რომ ეთანხმება წინა გამომსვლელებს და აღნიშნა, რომ თუ ფორსმაჟორი არ იქნება საკითხი დროულად იქნეს წარმოდგენილი.

ე. ჯობავა - სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საკითხი საკრებულოში დროულად თუ არ იქნებოდა წარმოდგენილი, მაშინ აღნიშნულ საკითხს მორიგი სხდომის დღის წესრიგში არ შეიტანდნენ განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. თეა გელანტია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ტარიელ ალექსანდრია
8. ბექა მამაცაშვილი
9. კახა ლატარია
10. მერაბ ფილიპია
11. თემურ გულუა
12. ნიკოლოზ ვეკუა
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. იგორ გოგოლაძე
16. ირაკლი ნადარაია
17. აბელი ქირია
18. გოჩა ჯობავა
19. ავთანდილ ხუნჯუა
20. მზია ლემონჯარია
21. გიგა ნასარაია
22. გია წულაია
23. გენადი ქაძანაია
24. აკაკი ხურცლავა
25. ფრიდონ შონია
26. კობა გოქაძე